პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის: ონლაინ ღონისძიება „მოქალაქეთა ყოფის გაუმჯობესება უკეთესი მმართველობის გზით“

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის კომისრის ოლივერ ვარჰეის გზავნილი

ძვირფასო მონაწილეებო და კოლეგებო,

ჩვენ უპრეცედენტო დროში ვცხოვრობთ, რაც **COVID-19-ის გავრცელებით** არის განპირობებული. შესაბამისად, ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მართვა უპრეცედენტო ზომების მიღებას საჭიროებს. ევროკომისია თავდაუზოგავად მუშაობს, რათა მაქსიმალურად სწრაფად დაიწყოს ეკონომიკური აღდგენის პროცესი და შექმნას ცხოვრების უკეთესი პირობები ხვალინდელი მსოფლიოსთვის.

კრიზისის დასაწყისიდანვე, ევროკავშირმა გამოიჩინა სოლიდარობა და დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან პანდემიასთან ბრძოლის მიზნით. ამ მხრივ, ჩვენი ძალისხმევა გრძელდება, რადგან აღდგენას მხოლოდ ერთობლივი ძალებით შევძლებთ.

წელს ჩვენ აღვნიშნავთ **ევროკავშირი-ევროპის საბჭოს „პარტნიორობას კარგი მმართველობისთვის“**. აღნიშნული პარტნიორობის საქმიანობა მსოფლიოში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის ხელშეწყობის და დაცვის კუთხით გაწეული ძალისხმევების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი, ასევე, ძირითად როლს ასრულებს აღდგენის კუთხით გაწეული ძალისხმევის კონტექსტში: დემოკრატიის გარეშე ვერ იარსებებს გრძელვადიანი განვითარება და ეკონომიკური კეთილდღეობა, მშვიდობა და სტაბილურობა, რაც ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა ფონ დერ ლეიენმა 2020 წლის მიმართვაში ევროკავშირის მდგომარეობის შესახებ.

რაც შეეხება **აღმოსავლეთ პარტნიორობის** პოლიტიკას, პროგრამას „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს პარტნიორ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კარგი მმართველობის განმტკიცების პრიორიტეტულ სფეროებში შედეგების მიღწევის კუთხით. წელს ევროკავშირმა წარმოადგინა აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ხუთი ძირითადი მიზანი, 2020 წლის მიღმა. აღნიშნული მიზნები შეეხება ევროკავშირის თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან, საერთო გამოწვევების დაძლევისა და დღევანდელი - და ხვალინდელი - გამოწვევების გათვალისწინებით, პარტნიორი ქვეყნების **მდგრადობის** განმტკიცების კუთხით. მათ შორის, ჩვენ ხაზს ვუსვამთ **პარტნიორობის ფუნდამენტური პრინციპებისადმი განახლებული ერთგულების მნიშვნელობას**. მდგრადი და დემოკრატიული მმართველობა და ინსტიტუტები, კანონის უზენაესობა, წარმატებული ანტი-კორუფციული პოლიტიკა, ეკონომიკურ და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და უსაფრთხოება: ეს ყოველივე ძლიერი და მედეგი სახელმწიფოს და საზოგადოების ხერხემალია. ისინი, აგრეთვე, წარმოადგენს **ეფექტური ბიზნეს კლიმატის უზრუნველყოფის წინაპირობას**, ისეთის, რომელიც მოიზიდავს **უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს** და უზრუნველყოფს **მდგრად ეკონომიკურ ზრდას**.

აღნიშნული ხუთი მიზნის საფუძველზე, ჩვენ ვმუშაობთ იმ **შედეგების** მიღწევაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ რეაგირება ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებზე და უზრუნველვყოთ ხელშესახები და პოზიტიური შედეგები თითოეული მოქალაქისთვის. აღნიშნული შედეგები უნდა დამტკიცდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, რომელიც მომავალი წლის მარტში გაიმართება.

დარწმუნებული ვარ, რომ „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ გააგრძელებს ჩვენს დახმარებას შემდგომი პოზიტიური შედეგების მისაღწევად, მათ შორის, ახალ სფეროებში!

ახალი **ციფრული ინსტრუმენტების** სწრაფი განვითარება უდიდეს პოტენციალს სძენს ჩვენს საზოგადოებას და ეკონომიკას და ამავდროულად, ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებს წარმოშობს. ფუნდამენტური უფლებები და წესები, რომელიც ამ უფლებებს იცავს, ასევე, უნდა გავრცელდეს კიბერ-სივრცეზე. ევროკავშირი კვლავ გააგრძელებს აღმოსავლეთ პარტნიორობის მხარდაჭერას, ევროპის საბჭოს **„კიბერ დანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის“** სრულად იმპლემენტაციის მიზნით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვითი ღონისძიებებისთვის. აღნიშნული საჭიროა ჩვენი მოქალაქეების ახალი საფრთხეებისგან დასაცავად.

ევროპის საბჭოსთან ჩვენი ხანგრძლივი თანამშრომლობა დაგვეხმარება ამ და სხვა საერთო მიზნების მიღწევაში, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიას უკავშირდება. ივლისში ევროკავშირმა დაამტკიცა **ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის პრიორიტეტები** მომდევნო ორი წლისთვის, რომელიც, მათ შორის, მოიცავს პარტნიორობის პრიორიტეტულ სფეროებს.

იმ ღონისძიებებს შორის, რომელსაც ჩვენ ვუჭერთ მხარს, შედის **„სწრაფი რეაგირების მექანიზმი“**, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვაფინანსებთ ვენეციის კომისიის მოსაზრებებს საკონსტიტუციო საკითხების და საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ. დღეის მონაცემებით, დამუშავდა კომისიისადმი 12 მიმართვა სომხეთიდან,

საქართველოდან, მოლდოვადან და უკრაინიდან. კომისიის მოსაზრებები ხშირად რთული პოლიტიკური საკითხების გადასაჭრელადაც გამოიყენება.

ქალბატონებო და ბატონებო, მომდევნო 3 დღე გამოვიყენოთ ჩვენი საერთო მიღწევების აღსანიშნავად. ამასთან, მე მზად ვარ, აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის **2020 წლის შემდგომი წლების მიზნებზე** მუშაობისას გავითვალისწინო ყველა ის რჩევა და იდეა, რომელიც წარმოიშობა დისკუსიის შედეგად.

ყველას გისურვებთ წარმატებულ ღონისძიებას, რომლის დროსაც თქვენ შეძლებთ, ერთმანეთს გაუზიაროთ მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ შევქმნათ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში უფრო მყარი საზოგადოებები.

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.